პეჩის საპატრიარქოში რუსეთის ეკლესიის იერარქმა მონაწილეობა მიიღო სერბეთის პატრიარქ პორფირეს ინტრონიზაციის ზეიმში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 15.10.2022. 2022 წლის 14 ოქტომბერს პეჩის საპატრიარქოს მონასტრის წმინდა მოციქულთა ტაძარში საღმრთო ლიტურგიის აღსრულებისას შედგა პეჩის მთავარეპისკოპოსის, ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტის, სერბეთის პატრიარქის პორფირეს ინტრონიზაცია. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კურთხევით და უწმინდესი პატრიარქის პორფირეს მიწვევით ღვთისმსახურებაში მონაწილეობა მიიღო ბუდაპეშტისა და უნგრეთის მიტროპოლიტმა ილარიონმა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველის სახელზე აგებული მონასტერი დაფუძნებულია პეჩში სერბი

წმინდა მღვდელთმთავარ საბა I-ის მიერ (1219–1235), – თავდაპირველად როგორც ჟიჩის მონასტრის მეტოქიონი. 1346 წელს აქ გამოცხადდა სერბეთის ეკლესიაში პატრიარქობის შემოღება და ამის შემდეგ ის საპატრიარქო მონასტერი გახდა. 1924 წელს აქვე შედგა გაერთიანებული სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი პატრიარქის დიმიტრის ინტრონიზაცია.

პატრიარქ პორფირეს აღსაყდრების წეს-განგება ჩატარდა საკურთხეველში სამოციქულოს წაკითხვის წინ დაბრო-ბოსნიის მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსისა და ჩერნოგორ-პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკეს მიერ.

საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ზვორნიჩო-ტუზლანის ეპისკოპოსმა ფოტიმ გააჟღერა 2021 წლის 11 თებერვალს შემდგარი სინოდის სხდომის აქტი, ზაგრებ-ლიუბლიანის მიტროპოლიტ პორფირეს სერბეთის პატრიარქად **გამორჩევის** შესახებ პეჩის მთავარეპისკოპოსად, ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტად და სერბეთის პატრიარქად. შემდეგ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარს საპატრიარქო ინსიგნიები გადაეცა: კვერთხი და წმინდა პანაღია.

თავის მიმართვაში ღვთისმსახურებაზე შეკრებილთ პატრიარქმა პორფირემ, კერძოდ, უთხრა: „პეჩის საყდარი – ეს ღმერთთან ყველაზე ახლო საყდარია ჩვენი ხალხის მიერ აგებული და ამიტომ პეჩის ეპარქია ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი და უსაფრთხო ადგილია. პეჩელი პატრიარქები, მაშინაც კი, როდესაც რთული ისტორიული ვითარებების გამო ამ საყდრიდან შორს იმყოფებოდნენ, გულით, აზრით და მთელი არსებით ყოველთვის მიჯაჭვულნი იყვნენ მასთან – სერბეთის მართლამდიდებლურ იერუსალიმთან. აქედან მეორე სახელწოდება ჩვენი ადგილობრივი ეკლესისა – პეჩის საპატრიარქო. ამიტომ როდესაც ჩვენ შორს ვართ აქედან, იმ ლექსებს, რომლებსაც ებრაელები ბაბილონის მდინარეების პირას მღეროდნენ, ჩვენთვის ბუკვალური მნიშვნელობა აქვს: „რამეთუ დაგივიწყო შენ, პეჩო, დაივიწყენ მარჯვენეცა ჩემი.
აექუნ ენაი ჩემი სასასა ჩემსა, არა თუ მოგიხსენო შენ პეჩის საპატრიარქოვ!“. სწორედ აქედან ეფინებოდა და ეფინება მთელ სერბ ხალხს ლოცვა-კურთხევა წმინდა საბასი და წმინდა მთავრეპისკოპოსებისა არსენის, ნიკოდიმოსისა და დანიელის, წმინდა პატრიარქების – იოანიკესი, ეფრემისი, სპირიდონისი, პაისისი, არსენისი“.

როგორც შემდეგ პატრიარქმა აღნიშნა, „კოსოვო და მეტოქია სერბეთის ხალხის სახლია. ჩვენ აქ ქრისტესთვის დავიბადეთ, აქ... ჩვენ ვიხილეთ ჭეშმარიტი ნათელი, მივიღეთ ზეციური სული, მოვიპოვეთ ჭეშმარიტი სარწმუნოება, თაყვანი ვეცით განუყოფელ სამებას. და ყოველ ჯერზე, როდესაც კოსოვოში მოვემგზავრებით, ჩვენ აქ ვბრუნდებით როგორც უძღები შვილი ბრუნდება შორეულ ადგილებიდან მშობლიურ სახლში“.

***

2021 წლის 18 თებერვალს სერბეთის დედაქალაქში შედგა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელთმთავრო კრება, სადაც ახალი წინამძღვარი **გამოირჩიეს.** საგამომრჩევნო კრება ჩატარდა ვრაჩარაში წმინდა საბას საკათედრო ტაძრის კრიპტაში. სერბეთის უწმინდესი პატრიარქი გახდა ზაგრებ-

ლიუბლიანის მიტროპოლიტი პორფირე, რომელიც სამ კანდიდატს შორის კენჭისყრით იქნა გამორჩეული. საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების ცერემონიალი **შედგა მეორე დღეს, 19 თებერვალს,** მთავარანგელოზ მიქაელის სახ. ბელგრადის საკათედრო ტაძარში საკრებო სამღვდელთმთავრო ლიტურგიის დასრულების შემდგომ. ტრადიციისამებრ ინტრონიზავია ასევე ტარდება პეჩის საპატრიარქოში (კოსოვო და მეტოქია) სერბეთის პირველმღვდელთმთავრის უძველეს საყდარში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89718/